შალვა გივიშვილი

აღმასრულებელი დირექტორი

3300, ქ.მცხეთა, აღმაშენებლის ქ. N 73
ტელ.: (+995 32) 2 308 609, (+995 577) 53 33 22
ელ.ფოსტა: greenregiongeo@gmail.com,
ვებ-გვერდი: www.greenregion.ge

მცხეთა-მთიანეთის რეგიონული განვითარების სააგენტო

გაწეული მუშაობის მოკლე ანგარიში

შენიშვნა: ვინაიდან პრაქტიკულად შეიცვალა სააგენტოს საბჭოს შემადგენლობა (გუბერნატორი, მერები). ამიტომ გავაკეთეთ სააგენტოს წელიწადნახევრიანი არსებობის მანძილზე გაწეული მუშაობის ანგარიში, რომ ახლებს სრული წარმოდგენა შექმნოდათ სააგენტოს საქმიანობაზე.

ორგანიზაციული საკითხები

რეგიონის გამოცხადება მწვანე მხარედ. მიზნების ჩამოყალიბება. საფუძველი: გაეროს ახალი დღის წესრიგი-2030 წლამდე;

-
- ახალი დღის წესრიგი მცხეთა-მთიანეთის მდგრადი განვითარებისათვის. ბროშურის მომზადება და დაბეჭდვა (დაიბეჭდა GIZ და KFW -ს მხარდაჭერით);
- გაფორმდა თანამშრომლობის მემორანდუმი არასამთავრობო ორგანიზაციებთან (30)
- დარგობრივი კომისიების შექმნა. პარტნიორი საზოგადოებრივი ორგანიზაციების, სამეცნიერო-კვლევითი და საგანმანათლებლო დაწესებულებების, ცალკეული სპეციალისტების მონაწილეობით სააგენტოსთან შეიქმნა დარგობრივი და ტერიტორიული კომისიები, სამუშაო ჯგუფები, რომლებშიც დღეისათვის 50-მდე სხვადასხვა დარგის სპეციალისტია ჩართული.
- ფშავის მდგრადი განვითარების კომისიის შექმნა
- სააგენტოს ვებ-გვერდის გაკეთება ქართულ და ინგლისურ ენებზე (განახლების პროცესშია)
- სააგენტოს ფეისბუქის გვერდის გაკეთება **Regional Development Agency of Mtskheta-Mtianeti**
- შემოქმედებითი მცხეთა-მთიანეთის სამუშაო ჯგუფის შექმნა

შეხვედრები სამინისტროებთან და სხვა უწყებებთან

გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში (11 საკითხი)

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში (რეგიონის მდგრადი განვითარების და მწვანე ეკონომიკის საკითხი)

სოფლის მეურნეობის სამინისტროში (ორგანული სოფლის მეურნეობის განვითარების საკითხი)

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში (სააგენტოს მუშაობაში თანადგომის საკითხი)

სავაჭრო-სამრეწველო პალატაში (ბიზნეს ფორუმების ორგანიზების, ყაზბეგში წარმომადგენლობის გახსნის საკითხები)

მუნიციპალური განვითარების ფონდში (ტექნოპარკის შექმნაში მხარდაჭერის საკითხი)

შეხვედრები დონორებთან

გაეროს განვითარების პროგრამა (მცხეთა-მთიანეთის მდგრადი განვითარების მოდელირება)

შვედეთის განვითარების სააგენტო (შვედეთის ეკომუნიციპალიტეტებთან ურთიერთობის დამყარება, გამწმენდი სისტემების მოწყობაში მხარდაჭერა)

ჩეხეთის განვითარების სააგენტო (ფშავის მდგრადი განვითარების კონცეფციის გაცნობა, ახალი დაცული ტერიტორიის შექმნაში მხარდაჭერის საკითხი)

GIZ -გერმანიის თანამშრომლობის პროგრამა (მცხეთა-მთიანეთში მათი მუშაობის გააქტიურება)

ავსტრიის განვითარების სააგენტო (მცხეთა-მთიანეთის საპილოტედ აღება ორგანული სოფლის მეურნეობის განვითარების ასპექტში)

ღონისძიებები

- ბათუმის მინისტერიალში მონაწილეობა. GIZ და KFW წარმომადგენლებთან პრივატული შეხვედრებისას შევთანხმდით ფშავ-ხევსურეთის დაცული ლანდშაფტის შექმნაში მხარდაჭერაზე მათი მხრიდან; იუნესკოს და სხვა სტრუქტურებთან ურთიერთობა. შეთანხმება გაეროს განვითარების სააგენტოს ოფისის ხელმძღვანელთან ნილს სკოტთან მცხეთა-მთიანეთში გაეროს შესაძლებლობების მიმართვაზე რეგიონის მდგრადი განვითარების მოდელად გადაქცევის მიზნით.
- მწვანე ინოვაციების ცენტრის-ტექნოპარკის კონცეფციის შემუშავება. წეროვანის დევნილთა დასახლებაში არსებული უძრავი ქონება გადმოეცა სააგენტოს მწვანე ინოვაციების ცენტრის და სოციალური საწარმოების მოსაწყობად; (ბროშურა)
- ფშავის მდგრადი განვითარების კონცეფციის მომზადება. ეს გახდა საფუძველი ჩეხეთის განვითარების სააგენტოსათვის, რომ მხარი დაუჭიროს დაცული ლანდშაფტის შექმნას ფშავ-ხევსურეთსა და გუდამაყარში. ასევე ამ კონცეფციამ იქონია გავლენა სოფლის მეურნეობის სამინისტროს გადაწყვეტილებაზე, რომ უკანა ფშავში საპილოტედ გაკეთდეს კოოპერატიული რძის გადამამუშავებელი საწარმო;
- 2016, ოქტომბერი, საკუთარი ძალებით მოვაწყვეთ ორი ეთნო-კულტურული გამოფენა მცხეთაში, აქ წარმოდგენილი იყო გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშები და რეგიონში წარმოებული კვების პროდუქტები;
- შეხვედრები საფინანსო ინსტიტუტებთან (სლოვაკეთი, ჩეხეთი, ავსტრია, EBRD - ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი), მოლაპარაკება იაფ კრედიტებზე მუნიციპალიტეტებისთვის ინფრასტრუქტურული და კომერციული პროექტებისთვის.
- ვიზიტის ორგანიზება ჩეხეთ-ავსტრიაში. 2016 წლის მარტში გუბერნატორი და სააგენტოს დირექტორი.
    - ✓ მოხდა შეთანხმება ქართული სახლის გახსნაზე პრაღაში
    - ✓ ჩეხეთის სოფლის მეურნეობის სამინისტროში აღგვითქვეს სპეციალისტების ჯგუფის მიღება ბიოწარმოების ჩეხური გამოცდილების გასაცნობად;
    - ✓ შეხვედრა ჩეხეთის განვითარების სააგენტოს დირექტორთან და მოხდა შეთანხმება ჩვენს რეგიონში სააგენტოს ფინანსების მობილიზების, კერძოდ არაგვის დაცული ლანდშაფტის პროექტის დაფინანსება 4 წლის განმავლობაში;
    - ✓ ავსტრიაში შევხვდით ავსტრიის განვითარების სააგენტოს ხელმძღვანელ პირებს. აღგვითქვეს მცხეთა-მთიანეთის რეგიონზე ყურადღების გამახვილება, რაც გამოიხატა კავკასიის ოფისისთვის მითითების მიცემაში. დაგვიკავშირდნენ კავკასიის ოფისიდან, მოხდა შეხვედრა ოფისის ხელმძღვანელთან და პროექტების კოორდინატორთან. განხილულ იქნა ჩვენს რეგიონში ბიოწარმოების განვითარების ხელშეწყობის საკითხი.
    - ✓ ბათუმის ტურიზმის გამოფენაზე დავაფინანსეთ სტენდი რეგიონის წარმოსადგენად
- მოვაწყვეთ რამდენიმე ბიზნეს ფორუმი (ებრაელები, ესპანელები, რუსები, ირანელები და სხვა).

- მოვაწყვეთ შეხვედრა რეგიონის მსხვილი ბიზნესის წარმომადგენლებთან, განვიხილეთ ბიზნესის ეკოლოგიზაციისა და სოციალიზაციის საკითხები;
- წილკანში, სოფლის მეურნეობის სამეცნიერო ცენტრის ნაკვეთში დავდგით აგროკლიმატური სადგური, რომელიც გადმოგვცა ჩვენმა პარტნიორმა ებრაულმა ორგანიზაციამ, შემდეგ ეს სადგური გადავიტანეთ წინამძღვრიანთკარის აგრარული კოლეჯის ნაკვეთზე;
- მაისში ვიყავით ფორუმზე მოლდავეთში, რომელიც მიეძღვნა შემოქმედებითი ინდუსტრიების განვითარებას.
- ჩეხეთიდან ჩამოვიყვანით ერთ-ერთი სოფლის, ხლუმანის, მერი, რომელსაც დიდი გამოცდილება აქვს უპერსპექტივო სოფლის განვითარების. მან მოაწყო პრეზენტაცია რეგიონიდან მოწვეული დაინტერესებული პირებისათვის (ბროშურა);
- 13 ივნისს ჩეხეთის საელჩოში გვქონდა მოლაპარაკება ჩეხეთის პარლამენტის წევრებთან. გამოითქვა მზაობა წეროვანის დევნილთა დასახლებიდან 4 მოზარდის წაყვანაზე ჩეხეთში იქაური საშუალო სკოლის დასამთავრებლად და პარალელურად ხელოვნების სკოლაში კურსის გასავლელად კერამიკის და მინის მხატვრული დამუშავების სპეციალობაზე. ბავშვების ენის ბარიერის გამო ჯერჯერობით ეს საქმე ვერ დაიძრა;
- სოფლის მეურნეობის სამინისტროში მოვაწყე პრეზენტაცია ბიოპროდუქტების წარმოების განვითარებასთან დაკავშირებით მცხეთა-მთიანეთის რეგიონში.
- გაფორმდა მემორანდუმი ებრაულ კომპანიასთან ტყის მდგრადი მართვის და ორგანული სოფლის მეურნეობის ასპექტებში თანამშრომლობის შესახებ. ამ თანამშრომლობის ფარგლებში რეგიონში უკვე დაიდგა აღნიშნული აგრომეტეო სადგური.
- სააგენტო ჩაერთო მუხრანის ტურისტული კლასტერის გეგმის შემუშავებაში ტენდერში გამარჯვებულ ირლანდიურ კომპანიასთან, რომელმაც თავის რეკომენდაციებში დაწერა, რომ ამ კლასტერის მენეჯმენტი უნდა გასწიოს ჩვენმა რეგიონული განვითარების სააგენტომ.
- ჩეხეთიდან და სლოვაკეთიდან ჩამოვიყვანეთ ქ. ვრხლაბის მერი და ეკოსოფლის ლიდერი თავიანთი გამოცდილების გაზიარების მიზნით. შეხვედრაში მონაწილეობდნენ სამხარეო ადმინისტრაციის, მუნიციპალიტეტების, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები;
- იტალიიდან ჩამოვიყვანეთ ნაგებობათა მოთბუნება-მოპირკეთების სპეციალისტები და წეროვანის დევნილთა დასახლებაში ჩავატარეთ მასტერ კლასი დაინტერესებული პირებისათვის ამ ხელობის სწავლების მიზნით.
- გავწიეთ საორგანიზაციო მუშაობა ჩეხეთის პარდუბიცეს რეგიონთან მცხეთა-მთიანეთის დამეგობრების თაობაზე. იანვარში გუბერნატორი, სააგენტოს დირექტორი და წინამძღვრიანთკარის კოლეჯის დირექტორი მიწვეული ვართ ჩეხეთში მემორანდუმზე ხელის მოსაწერად.
- პარდუბიცეს რეგიონული განვითარების სააგენტოსთან ერთად დავიწყეთ ერთობლივი პროექტების მომზადება;
- პარტნიორ პოლონურ ორგანიზაციასთან ერთად შევამზადეთ ნიადაგი ერთ-ერთ სავოევოდოსთან მცხეთა-მთიანეთის მხარის დამეგობრება-თანამშრომლობისათვის.

საკონსულტაციო მომსახურება

- 2016 წელს მოვაწყეთ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მეცნიერ-სპეციალისტების ორდღიანი ექსპედიცია თიანეთის ფერმერებთან. ექსპედიცია მიზნად ისახავდა ხევსურული ჯიშის ძროხების აღრიცხვას, კონსულტაციების გაწევას ფერმერებისთვის;
- ჩამოვიყვანეთ ებრაელი სპეციალისტი და დაინტერესებული პირებისათვის გუბერნიაში ჩავატარეთ სემინარი მარწყვის მოშენების ებრაული გამოცდილების გასაცნობად;

- ვთარგმნეთ ევროპის სასოფლო და ეკოლოგიური ტურიზმის მოთხოვნები და რეგულარულად ვაცნობთ საოჯახო სასტუმროების მოწყობის მსურველ პირებს. მიმდინარე პროექტის ფარგლებში პარტნიორმა საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ დაგვიბეჭდა ბროშურა;
- მიკრო ბიზნესის სახელმწიფო პროგრამაში მონაწილეობის მსურველებს გავუწიეთ კონსულტაციები ბიზნესგეგმების მომზადებასთან დაკავშირებით. რამდენიმე მათგანმა მიიღო სახელმწიფო გრანტი და იაფი აგრო კრედიტი;
- გავწიეთ კონსულტაციები მეცხოველეობის კოოპერატივებისთვის ფშავსა და თიანეთში;
- გავუწიეთ კონსულტაციები ტურისტული მომსახურების თემაზე ფშავ-ხევსურეთის მოსახლეობას;

საინვესტიციო პროექტების ხელშეწყობა

- დაინტერესებულ კომპანიას შევურჩიეთ საწარმოს ფართი აგურ-კრამიტის საწარმოსათვის აღდგომლიანთკარში (აწარმოე საქართველოში პროგრამის ფარგლებში) 2 მლნ. დოლარის ინვესტიცია (მიმდინარე პროექტი);
- დაინტერესებულ კომპანიას შევურჩიეთ საწარმოს ადგილი საბურავების გადასამუშავებელი საწარმოს მოსაწყობად;
- წეროვანის დევნილთა დასახლებაში დაიწყო სოციალური საწარმოს შექმნა (კერამიკა)
- მიმდინარეობს მოლაპარაკება წეროვანის სათბურების აღდგენასთან დაკავშირებით.

პროგრამები მცხეთა-მთიანეთში

მერების შეთანხმების პროგრამა.

ევროკავშირის ეს პროგრამაა ითვალისწინებს ენერგოეფექტური ღონისძიებების გატარებას. იძლევიან გრანტებს მუნიციპალური ნაგეგობებისთვის. ჩვენი რეგიონიდან ამ შეთანხმებას ჩვენი ინიციატივითმიუერთდა როგორც რეგიონი ზოგადად, ისე ცალკეული მუნიციპალიტეტები (ქ.მცხეთა, თიანეთი და ყაზბეგი), დუშეთის საკრებულოს შესაბამისი გადაწყვეტილება ჰქონდა მიღებული, მაგრამ გამგებელმა უარი თქვა ხელის მოწერაზე. ამ მუნიციპალიტეტებიდან ტრენინგები გავატარეთ წარმომადგენლებს. პარტნიორი არასამთავრობო ორგანიზაციის დახმარებით მომზადდა მცხეთის სამოქმედო გეგმა. ამ პროგრამაში ჩართულობას კარგი სარგებლის მოტანა შეუძლია მუნიციპალიტეტისათვის.

არაგვის (ფშავ-ხევსურეთი, გუდამაყარი) დაცული ლანდშაფტის პროგრამა.

 ეს ინიციატივა დავიწყეთ 2014 წელს სხვადასხვა ინსტანციებთან შეხვედრით. ჩვენი ინიციატივის საფუძველზე გერმანული მხარის ხელშეწყობით მომზადებულია დოკუმენტაცია არაგვის დაცული ლანდშაფტის შექმნის. ამჟამად ვიზირებაზეა და შემდეგ პარლამენტმა უნდა დაამტკიცოს. ახლა საჭიროა აქტიურობა სამხარეო ადმინისტრაციისა და მუნიციპალიტეტის მხრიდან, რომ პროცესი არ გაიჭედოს. დოკუმენტის მომზადების პერიოდში იმართებოდა შეხვედრები ადგილობრივ მოსახლეობასთან (უკანა ფშავი, მაღაროსკარი, ბარისახო, გუდამაყარი)

ჩეხეთის მთავრობა 4 წლის განმავლობაში დააფინანსებს ამ პროგრამას (ჩეხეთის სამთავრობო გადაწყვეტილება მიღებულია, ერთი მილიონი ევრო უკვე ჩასმულია ჩეხეთის განვითარების სააგენტოს ბიუჯეტში ამ მიზნით). ამ სააგენტოს დირექტორი წინა თვეში აქ იყო ჩამოსული, შეხვდა გუბერნატორს და დუშეთის მერს. მათი განწყობა ჩვენი რეგიონის მიმართ ძალიან დადებითია, ახლა უნდა აქტიურობა სასურველ შედეგებზე გასასვლელად. იანვარში ჩეხეთში ვიზიტისას შევხვდებით სააგენტოს დირექტორს პოზიციების გასამაგრებლად. ამასთანავე აქ

ყოფნისას მე მას ვუთხარი რომ ამ პროგრამისთვის მილიონი ცოტაა და მინიმუმ გაორმაგებაა საჭირო. თქვეს რომ ამ საკითხს განიხილავენ.
ამ პროექტში თავიდან გათვალისწინებული გვქონდა თიანეთის ჩართვაც (ივრის ზემო წელი სათავემდე), ჩამოვიყვანეთ ჩეხი ექსპერტები და მოვატარეთ ივრის ხეობა. მათ დაწერეს დადებითი დასკვნა, მაგრამ ადგილობრივმა ხელისუფლებამ ცოტა პასიურობა გამოიჩინა და ვერ მოხდა მიბმა დაძრულ პროექტთან. თუ ახლა მონდომება იქნება, შეიძლება ამ თემის გააქტიურება. ამ შემთხვევაში მთელ ცენტრალურ კავკასიონს ყაზბეგიდან თუშეთის ჩათვლით დაცულის სტატუსით შევკრავთ და ეს საშვილიშვილო საქმე იქნება მთის განვითარების ასპექტში.

შემოქმედებითი მცხეთა-მთიანეთის პროგრამა

ჩემს მიერ მომზადებულმა პროექტმა გაიმარჯვა ევროკავშირის კონკურსში შემოქმედებითი ინდუსტრიების განვითარებასთან დაკავშირებით და საქართველოდან მცხეთა-მთიანეთი გახდა საპილოტე. აღსანიშნავია, რომ ჩვენი ერთად-ერთი რეგიონია გამარჯვებული, სხვა ქვეყნებიდან მხოლოდ ქალაქებია. მოვაწყეთ რამდენიმე შეხვედრა, ჩამოვაყალიბეთ მუშა ჯგუფი. მომზადდა ათი საპროექტო განაცხადი. ევროკავშირისგან მომაგრებულმა ექსპერტმა მოამზადა ანგარიში. დღის წესრიგში დგას სამოქმედო გეგმის და პროექტების მომზადება. მუნიციპალიტეტების თანადგომა და აქტიურობაა საჭირო. ამ პროგრამის ფარგლებში შესაძლებელია მცირე გრანტების (200 ათასი ევრო) და დიდი გრანტების (2 მლნ. ევრო) მიღება;

ამ პროგრამის ფარგლებში მთავარ პროექტად განვიხილავთ **მცხეთის თეატრონის** გაცოცხლებას და ახალი შინაარსით დატვირთვას.
მუშავდება თეატრონის სივრცითი განაშენიანების კონცეფცია და პროგრამა, რომელიც მოიცავს რამდენიმე ფესტივალს და სხვა ღონისძიებებს. იგი ასევე იქცევა მცხეთობის ჩატარების მთავარ ადგილად.
მსოფლიო ბანკის ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტი ითვალისწინებს თეატრონის რეაბილიტაციასაც, თუმცა ძალიან მოკრძალებული თანხაა გათვალისწინებული. ახლა ხელსაყრელი მომენტია სწრაფად აღდგენითი სამუშაოების ჩასატარებლად. არის იმის შანსი, რომ მნიშვნელოვანი თანხა უკვე მომავალ წელს ჩავადებინოთ მსოფლიო ბანკს. ასევე არინ ინვესტორები, რომლებიც მზად არიან ინვესტირება მოახდინონ თეატრონზე. თეატრონი გახდება უმსხვილესი რეკრეაციული, შემოქმედებით-გასართობი და ტურისტული ცენტრი.
დეტალებზე მცხეთის მერთან და სხვა დაინტერესებულ პირებთან შეგვიძლია გავიაროთ ეს თემა სამუშაო ფორმატში.

ევროპის საბჭოს კულტურული მარშრუტები

-კერამიკის მარშრუტი. უნიკალური არქეოლოგიური მასალით, ბოლო დრომდე მცხეთაში შემონახული კერამიკული წარმოების ტრადიციით, რეგიონში კერამიკული წარმოების ახალი პროექტებით არსებობს დიდი შანსი, რომ გავხდეთ ევროპის კერამიკის მარშრუტის წევრი. დაწყებული გვაქვს პროექტი წეროვანში კერამიკის სკოლა-სტუდიის გაკეთების. ახლო ხანში ველით დამატებით მხარდაჭერას დონორებისგან ამ პროექტთან დაკავშირებით.
- **ებრაული მემკვიდრეობის მარშრუტი,** ეს მოქმედი მარშრუტია, რომელთან მისაერთებლადაც მცხეთას თავისი შემოგარენით ძალიან ძლიერი არგუმენტაცია გააჩნია. ვამზადებთ შესაბამის წინადადებას;
- **არქეოლოგიური პარკის პროგრამა**
კულტურული მემკვიდრეობის მენეჯმენტი მცხეთაში ძალიან მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს. აქ მოიაზრება არქეოლოგიური პარკის შექმნა (ბაგინეთი-არმაზისხევი-სამთავროს სამაროვანი-ძალისას ნაქალაქარი) არქელოგიური პარკის შექმნას ექნება როგორც

გაცნობითი, ისე არქეოლოგიური ტურების დატვირთვა. ამ თემაზე ლაპარაკი უკვე გვქონდა მუნიციპალურ განვითარების ფონდში, ცალკეულ სპეციალისტებთან. ეს საკითხიც სამსჯელოა სამუშაო ფორმატში მცხეთის მერთან. შევხვდით არქეოლოგებს და მათგან სრული მხარდაჭერაა. საჭიროა შესაბამისი პროექტის მომზადება და მსვლელობის მიცემა. ეს შესაძლებელია მივაბათ მსოფლიო ბანკის მიმდინარე პროექტს.

ტექნოპარკის პროგრამა

- მომზადებული გვაქვს მწვანე ინოვაციების ცენტრის- ტექნოპარკის საპროექტო წინადადება. მისი გაკეთება გათვალისწინებულია წეროვანის დევნილთა დასახლებაში სააგენტოსათვის გადმოცემულ ფართზე.
- ტექნოპარკის კონცეფციის შემუშავების საკითხში ვთანამშრომლობთ ესპანელ, თურქ, იტალიელ და ავსტრიელ პარტნიორებთან; (პრეზენტაცია)
- წინასწარი შეთანხმებები გვაქვს მუნიციპალური განვითარების ფონდის და ინოვაციების სააგენტოს ხელმძღვანელებთან მხარდაჭერის მიღებაზე .
- გავაფორმეთ თანამშრომლობის მემორანდუმი ესპანეთის ტექნოპარკების ასოციაციასთან. მიღებული გვაქვს მიწვევა ესპანეთში აღნიშნულ საკითხზე მოსალაპარაკებლად.

სასოფლო ტურიზმის განვითარების პროგრამა

განსაკუთრებით მთის სოფლებისათვის ეს არის გადარჩენის ერთ-ერთი ყველაზე რეალური გზა. გარკვეული ხელშეწყობა მიკრო ბიზნესის განვითარების თუ სხვა სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში ხდება, მაგრამ უმთავრესი პრობლემა უსისტემობაა. ამიტომ გათვალისწინებული გვაქვს მცხეთა-მთიანეთში საპილოტედ ამ პროგრამის გაშვება. ამ პროგრამის ფარგლებში პარტნიორმა ჩეხურმა არასამთავრობო ორგანიზაცია „აგორამ“ და ქართულმა საზოგადოებრივმა ორგანიზაცია „სოციალურმა სოლიდარობამ“ ჩვენი ხელშეწყობით განახორციელეს მცირე პროექტი(დონორები: ჩეხეთისა და სლოვაკეთის განვითარების სააგენტოები): ფშავ-ხევსურეთში შევიმუშავეთ ახალი ტურისტული მარშრუტები, სემინარები ჩავუტარეთ ადგილობრივ მოსახლეობას გაკეთდა ვებ-გვერდი, დაიბეჭდა კალენდარი და რეკომენდაციები სასოფლო ტურიზმში დასაქმებულთათვის. ტურიზმში დასაქმებულ ადგილობრივ აქტივისტებს გადავეცით კარვები, ცხენის აღჭურვილობა და სხვა.
მცხეთა-მთიანეთში ძალიან ნოყიერი ნიადაგია ტურისტული სოფლების შესაქმნელად. მონდომებისა და სათანადო ძალისხმევის შემთხვევაში ამ მიმართულებით სწრაფად გვექნება ხელშესახები შედეგები;

ორგანული სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამა

შემუშავებული გვაქვს ორგანული სოფლის მეურნეობის განვითარების უნივერსალური მოდელი. ამ თემაზე უკვე მოვილაპარაკეთ ავსტრიის განვითარების სააგენტოს რეგიონულ ხელმძღვანელთან. „ადა“ ახალ პროგრამას იწყებს და ახლა ხელსაყრელი მომენტია მცხეთა-მთიანეთში ამის დასაწყებად. სამხარეო ადმინისტრაციის მხრიდან საჭიროა აქტიურობა.

რეგიონების განვითარების ევროკავშირის პროგრამა, მცხეთა-მთიანეთი -საპილოტე რეგიონი

გაზაფხულზე გამართულ ამ პროგრამის პრეზენტაციაზე დავაყენეთ საკითხი მცხეთა-მთიანეთის საპილოტედ აღების შესახებ. იდეა მიღებულ იქნა. 7 დეკემბერს გაიმართა ფორუმი, სადაც გამოცხადდა, რომ საპილოტედ შეირჩა ორი რეგიონი, მცხეთა-მთიანეთი და კახეთი. ამ ფორუმზე კახეთის გუბერნატორს ველაპარაკე რეგიონთაშორისი პროექტების პერსპექტივაზე.
პარალელურად იანვრიდან იწყება ევროკავშირის ახალი პროგრამა რეგიონების მდგრად განვითარებასთან დაკავშირებით. მისი პრეზენტაცია გაკეთდა აღნიშნულ ფორუმზე. მოველაპარაკეთ პროექტის ხელმძღვანელს. მან თქვა, რომ იცის ჩვენი რეგიონის ინიციატივების შესახებ და ახლო ხანში შევხვდებით თემის საქმიანი განხილვისთვის.

მრავალპროფილიანი სოციალური საწარმოს პროგრამა

წეროვანის დევნილთა დასახლებაში დაწყებულია ბიზნეს ინკუბატორის გაკეთება, სადაც მოზარდები დასპეციალდებიან გამოყენებითი ხელოვნების პროდუქციის წარმოებაში და აქვე დასაქმდებიან.
გაზაფხულზე დაიწყება ახალი სადემონსტრაციო ენერგოეფექტური სათბურების მოწყობა, რომლებსაც მიებმება მესათბურეობის სკოლა;
ეს მიმართულებები აღებული აქვს ჩვენს პარტნიორ საზოგადოებრივ ორგანიზაცია „სოციალურ სოლიდარობას“. მან თავისი ხარჯით უკვე გაარემონტა სასწავლო ფართი, შემოიტანა საოფისე ტექნიკა. მიმდინარეობს საწარმოო ფართის მოწყობა. ახლა ველოდებით ერთ-ერთი დონორისგან პროექტზე პასუხს.
აქ ინფრასტრუქტურული პრობლემა გვაქვს წყლის, გაზის და ელექტრო ტრანსფორმატორის სახით, რაშიც მუნიციპალიტეტის დახმარება გვინდა და სასურველია მომავალი წლის ინფრასტრუქტურულ პროექტებში მოხდეს ამის გათვალისწინება.

ევროკავშირის პროგრამა: მერები ეკონომიკური ზრდისათვის

ეს პროგრამაც გაზაფხულზე დაიწყო, აქ საკლუბო ფორმატია. მუნიციპალიტეტი ხდება კლუბის წევრი სათანადო პირობების დაცვის შემთხვევაში. მე მცხეთა ჩართული მაქვს ამ პროცესში. ეს საკითხიც მერთან ერთად ცალკეა გასავლელი. პროგრამის კოორდინატორთან მე ასევე დავაანონსე ჩვენი რეგიონის სხვა მუნიციპალიტეტების ჩართულობის პერსპექტივა და თქვენზეა დამოკიდებული გაგრძელება.
ამ პროგრამის ფარგლებში იძლევიან გრანტებს 600 ათასი ევროს ფარგლებში. (უკვე არსებობს პრეცენდენტი ბოლნისის მუნიციპალიტეტის მიერ წელს გრანტის აღების, რომელიც მან ტურისტული ინფრასტრუქტურის შექმნას მოახმარა).

მომზადებული და მიმდინარე პროექტები

- არაგვისა და ივრის ხეობების დაცული ლანდშაფტის პროგრამის ფარგლებში ჩეხეთის განვითარების სააგენტოს ჩაბარდა 10 საპროექტო წინადადება საგაზაფხულოდ;
- მწვანე ინოვაციების ცენტრი- ტექნოპარკი. სპეციალიზაცია: აგროინოვაციები, სოციალური ინოვაციები, გარემოსდაცვითი ინოვაციები, მწვანე ბიზნესი.
- სკოლა-სახელოსნო (კერამიკა, ხე,)
- ახალგაზრდული კინო სკოლა-სტუდია წეროვანში
- ჩვენი წახალისებით მომზადდა პროექტი და რადიოლოგიური ანალიზი ჩატარდა ჩვენი რეგიონის წყლის რესურსების.
- ბაგინეთის სავანე, განვითარების კონცეფცია
- ფშავ-ხევსურეთში ტურიზმის განვითარებისათვის ჩეხურ არასამთავრობო ორგანიზაციასთან ერთობლივი პროექტი. დაფინანსდა ჩეხური და სლოვაკური ფონდების მიერ.

- სოფლის განვითარების პროექტი. სააგენტო პარტნიორია რამდენიმე ორგანიზაციის. დაფინანსდა ენპარდი ორის ფარგლებში.
- რეგიონული პროდუქცია ევროპის ბაზარზე. საკონსულტაციო ოფისის მოწყობა.
- ჩეხეთის საელჩომ სპეციალურად ჩვენი რეგიონისთვის გამოაცხადა საგრანტო კონკურსი.

დამატებითი მუნიციპალური ინიციატივები
თიანეთი -
მწვანე მუნიციპალიტეტი. მოკლე ისტორია.
თიანეთის მუნიციპალიტეტი IFOAM-ის წევრი
თიანეთის ოქროსფერი შემოდგომა, ტრადიციული დღესასწაული.
მეტყევეობის სასწავლებლის გაკეთება.
რეგიონთაშორისი პროექტი: ივრის ხეობის საკურორტო-რეკრეაციული კლასტერი (უჯარმიდან ივრის სათავემდე)

ყაზბეგი-
ეკომუნიციპალიტეტი
ტურიზმის მენეჯმენტი

დუშეთი -
ტურისტული საინფორმაციო ცენტრის შექმნა თვალივში (პარტნიორი არასამთავრობო ორგანიზაცია მზადაა ააშენოს შესაფერი ნაგებობა და უზრუნველყოს სერვისი, საჭიროა მუნიციპალიტეტმა მოახდინოს შესაბამისი მიწის ნაკვეთის გადაცემა.)
ფშავში საერთაშორისო ეკოლოგიური ბანაკის შექმნა. (ჩარგლისკარში), ეს საკითხი დუშეთის მერთან ერთად შეგვიძლია ცალკე გავიაროთ.

მცხეთა
სლოვაკეთის ქ. ტრნავასთან დამეგობრების საკითხი. ბრატისლავაში ჩვენი რეგიონული სახლის გახსნა.

ეს მოკრძალებული წვლილი შეიტანა რეგიონული განვითარების სააგენტომ მცხეთა-მთიანეთის განვითარების საქმეში.